


სასოფლო-გაზეთი



„გაზეთის ფასი“

გვსამ წალიწალი

ხელი-სმოწერა მიიღება:

თვლის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტონში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, თ. მებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.
 თვლის გარეშე მცხოვრებთათვის ადრის: ВЪ Тѣлѣсь, въ конторѣ редакціи „СЕЛЪСКОИ ГАЗЕ-ТЪ“, при типографіи Мелікова и К.-а.

გაზეთი	თვლისში	შავი-გაზეთით.
და გარეშე ადგილებში.	3ან.	
ხანის წლისა	— 4 მან.	— 3.
სხვების წლისა	— 3. —	— 2.
სამს. თვისა	— 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

გამოდის შაბათობით.

შველ გვაი განცხადებანი სასოფლო-სასაზოგადოებო და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტონში, რომელიც იმყოფება თვლისში, მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

მ. 13. მრ. შაბათი.

III.

18 ივლისი, 1870 წ.

შინაური

თვლისი, 20 ივლისს. — შინაური ამბები. — ღირსი ბან კის წესდება. — სამეურნეო ცნობა. — ამოხელო ნაწარმოების გამოფენა რუსეთში. — წერილი პეტერბურგიდან წლიენდელს ამოფენაზე. — სამეცნიერო ნაწილი: — რა, ვაზი-გვა ცხოველსა, მცენარესა და მადნეულს შუა. — რუსეთის ამბები. — სავაჭრო ცნობა.

თვლისი, 20 ივლისს.

ცხრამეტს ივლისს საღამოს ექვს ჩვენ გავლით დამსწრენი ერთის „შესანიშნავი“ ამბისა, რომელსაც ყოველი წმინდის გულით მსურველი ჩვენის ქვეყნის წარმატებისა გულმხობილათ უნდა მიეგებოს. — ეს იყო რომის კათოლიკე ეკლესიის სამრევლო სასწავლებელის მოწვევათა ხილვა. მამოცდის შემდეგ ზოგიერთნი ემაწველთა ვანი ელირსენ საჩუქარსა. საჩუქრების დაროგების წინათ იმღერეს რიტებით ქება. ბოლოს განსაკუთრებით გაგებამხობილათ იმათა მოკლე სალიტერატურო სახეობაში.

როგორც სამრევლო შკოლაში გვაცნობდნენ, იქ ირიცხება ორმოცი ასალგანდა მოწვევა. ჩვენ რომ ემაწველები ვნახეთ იმათ ყველას ზედვე ეტუბოდათ სიმკვირსველ და შესანიშნავი გონების მღვიძარება. როგორც ეტუბო მასწავლებელნი ძალიან კარგათ ეტუბობდნენ და სამ-ვალთო. მამობროულის ყურადღებით უღვიძებენ ემაწველებს სწავლის ხანისა და უნერგვენ კეთილს გრძობას.

ამგვარნი თვისებანი შეენიშნეთ ემაწველებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თი-

თო-თითოთ წარმოსდგენ და წვირლმანი სახალხო სცენების წარმოდგენა დაიწყეს; მაგრამ ყველაზე უფრო გაგვაკვირვა ორმა მოწვევამ, რომელთაგან ერთმა წარმოსთქვა სიტყვა სწავლის-სარგებლობაზე და მეორემ სამშობლოს სიყვარულზე. როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ, ყველა შენიშნავდა, რომ რასაც ლაპარაკობდნენ, გულით ლაპარაკობდნენ, და ზედვე ეტუბოდათ, რომ ღრმათ ესმოდათ ყოველი თავის სიტყვის აზრი. ჩვენ განსაკუთრებით იმან გაგვაკვირვა, რომ ათი-თორმეტის წლის ემაწველი ასეთი გარკვევით და ჩინებული ქართული ენით ლაპარაკობდა, რომ ჯერ ამისთანას არ შეგვსწავლიათ. მკვი არ არის საზოგადოება მიაქცევს რიგიან ყურადღებას და აღმოუჩენს ჯეროვანს შემწვობას შკოლის დამწესებულთა თავის ჩინებულ განზრახვის ასასრულებლათ. ჩვენის მხრით დიდს მადლობას ეუძენით შკოლის უფროსებს და იმათ თანამშრომლებს, რომელთაც ასე კარგათ დაუწყიათ დიდი დეაწლი სამშობლოს განათლებისა და კეთილდღეობის მისაგებლათ.

ღმერთმან ხელი მოუშართას ამ კეთილ გვაშებს თავის კეთილს შრომაში.

შინაური ამბები

თელავიდან „მაცკაში“ სამწუხარო ამბავს იწერებთან ამ წლის ღვინის მოსავალზე. მაზაფხულზე კახელები ძალიან იმედულობდნენ, რომ ამ წელს კარგი ღვინის მოსავალი იქნებოდა. მაგრამ ცხრა ივნისს შემდეგ დიდი წვი-

მები დაწყდა და ისე ძლიერათ გამოჩნდა წყვეული ნაცარი, რომ საუკეთესო ბაღები სულ ერთიანათ წაახდინა.

საუკეთესო ძახური ღვინოები, რომელნიც მთელ მაცკასაში ეპტობდნენ და ცოტაოდინი რუსეთშიაც გააქეთ; დგება ალაზნის პირზე მდებარე საბაჯონა ზვარბში. აქ, განსაკუთრებით იმ ზეარებს ემტრება ნაცარი ყოველ წლობით. სოფელს წინანდალში, ძურდელ-ლაურში, ხორხელში, ზემოხოლაშენში და სხვებში მინც მეტის-მეტათ ევიდება ეს წყვეული ნაცარი. უნდა ვთქვათ, რომ ამ ალაგებისთანა მშვენიერი ღვინოც სხვაგან არსად მოდის.

„მაცკასი“ ამბის მცნობელი ძალიან სწუხს, რომ აქამდის ეგრა მოუხერხებიათ რა ამ ნაცრისთვისო. მებრნარის წამალს ურჩევენ სწავლელები იმის გასაწყობათ და კახელებს არც ერთი ამა წამლისა არა სჯერათ და საკვირველ თავმოცემით შესქქებთან ამ ერთად ერთი თავის სიმდიდრის და ღონისძიების გაფუჭებასაო. ნუ თუ ამ ქვეყანაში არც იმისთანა კაცი და არც საშუალება რამე არ გამოჩნდება, რომ საზოგადო მტკარს რამე მოუხერხოსო.

თუმცა მვე ვახელი ვარო, ამბობს „მაცკა-ზის“ ამბის მცნობეი, მაგრამ ჩემდა სწამწუხაროთ უნდა გამოეყუდე, რომ აქამდის ეგრა გეოეტირნაოა ამ უბედურების მოსაყვეთადო. მერე როდის უფრო გვემართება ეს უბედურება — როცა ყოველგან კარგი ხმა

გაუყარდა კახურს ღვინოს, როდესაც ყოველი მხრიდან თან-და-თან უფრო ითხოვენ და ოლოს როდესაც ჩვენში რკინის გზა იმართება.—

* *

ამჟამათ კახური ღვინო მოდის წინანდალში თთ. ღვინო პლეკანდრეს ძის, სპირიტოზის და ბულბათ შავკეფაძეების მამულში; ქურდულაურში თთ. ტატო და ბიორგი რუსიშვილების ზვარში, ზემოხობაშენს—შილოთეოსის ბერძნულს მონასტრის მამულში და მერაბ შამყრელიძის ზვარში. ხორხელს—ტანიკო რუსიშვილის ასულის მამულში და აქაზა ანდრონიკაშვილის ზვარში. ახმეტას—კენინა ნინო ჩოლოყაშვილის, თ. ლუარსაბ ჩოლოყაშვილის და იკობ პობიევის ზვარებში. თითო ურეში ამ ღვინებისა ადგილზე ღირს ორმოცდაათიღვან ას თუმანდის. ამ ფასს არც მოკლებია და არც მომატებია უკანასკნელს ათი წლის განმავლობაში. ეს ცნობა მხოლოდ მთელის უზღვრიდგან არის ამბობს ვაზეთის „ძაქკასის“ კორესპონდენტი.

ს ა ე რ ო ბ ა ნ კ ი ს წ ე ს დ ე ბ ა .

ამ ჟამად, როდესაც შრომას დიდი ფასი მიეცა და როგორც ყოველ გვარ აღებმაცემობაში, ისე ოჯახობაში, მიწის მუშაობაში, ანუ უკეთ ეთქვათ ყოველ გვარ მეურნეობაში ფული მეტად საჭირო შეიქნა, სხვა და სხვა ერობამ და სახელმწიფომაც გადასწყვიტეს ისეთი თავნების მოგროვება, რომლიდანაც შეიძლება სესხება ყოველ დაჭირების დროს ფულით, რაც შეიძლება ცოტა სარგებელით. შევიდა კარგათ იცის უფლებით რა ძნელია საქმის დაწყება, განსაკუთრებით მას აქვთ, რაც შრომას მომეტებული ფასი დაედევნა, ბატონ-ყობის გაუქმების შემდეგ ყოველმა მუშა ხელმა ერთი ორით იმატა ფასზე. ამ შემთხვევაში ყოველი საქმე წინ და წინ ფულის ითხოვს და რამდენიც უფრო ბევრი ფულის ღირს აქვს საქმის დამწყებს, იმდენათ უფრო დიდს მოგებას უნდა მოელოდეს თავის საქმიდან. აი, ამისთანა მიუკილებელმა ფულის საჭიროებამ მოაფიქრებინა სახელმწიფოს საერო ბანკების გამართვა.

* *

ამ წლის შვიდს აპრილს საფინანსო მინისტრმა წარადგინა სახელმწიფო რჩევაში უმ-

თავრესი კანონები, რომელზედაც უნდა დაფუძნდნენ საერო ბანკები, რადგან ჩვენთვის მიუცილებლათ საჭიროა ამისთანა დაწესებულება და თავიდანაშურებამ კიდევ წარუდგინა თავისი ბანკის წესდება მთავრობას დასამტკიცებლათ, ამისთვის ჩვენ აქ მოვიყვანთ უმოთხრესს მუხლებს იმ ბანკების კანონებისა, რომელნიც მინისტრმა წარადგინა სახელმწიფო რჩევაში. რადგან თავად ანაშურობის ბანკზე კიდევ უფრო საჭირო არიან სასოფლო ბანკების დაწესება, რომლებითაც ფრთხილ გამოცხმება ჩვენი სოფლის მუშაობას და ყოველგვარ წარმოებას, ამისთვის ეთხოვთ ჩვენი ვაზეთის მკითხველებს ყურადღებით მოისმინონ აქ დაბეჭდილი კანონები საერო ბანკების: თუ ვინმე ჭკუიანმა და თოსანმა კაცმა ითავა რომელიმე სოფელში ბანკის გამართვა, ეს კანონები უტყველად გამოადგება.

* *

საერო ბანკის შეუღლიან სესხი აძლიოს: I— გირაოთი.—ბანკი მიიღებს გირაოთ ადგილს და შენობას, სარგებლის მომცემ ქალაქებს, საქონელს და ძვირფასს ნივთებს, რომელნიც არ წახდებიან; II ბანკი აგრეთვე ასესხებს ყვეთილ საიმედო კაცების თავდებობით.

* *

ბანკი ერთს კაცს, ან ერთს საეკურო სახლს ან საზოგადოებას, რაც ბანკში ძირი და სულადი თავნი იმყოფება, იმის მეთედზე მომეტებულს ვერ გასცემს სესხს.

ბანკში დაგირავებულს ქონებას ვერც კერძო მოვალე და ვერც ხაზინა თავის ელში ვერ გაჰყიდის. მაგრამ სამართალმა თუ მოითხოვა იმის გაყიდვა, შეიძლება მაშინ გაყიდონ, მაგრამ იმ ფულიდგან პირველათ ბანკმა უნდა აიღოს თავისი ფული და დანარჩენით სხვა მოვალეები გაისტუმრებინან. მიწის ან შენობის გირაოთ გამოტანილი სესხის ვადა თვითონ საერო კრებამ უნდა დასდოს. მაგრამ ეს ვადა იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რაც ხანძარივით შეტანილს ფულს აქვთ ბანკში დანიშნული, ისე რომ რაც ბანკში შესანახავათ შესატანი ფულია, იმის ვადაზე ნაკლები უნდა იყოს გირაოთ გატანილს ფულის ვადა.

* *

ბანკი მიიღებს გირაოთ მხოლოდ იმ მიწებს და შენობებს, რომელნიც არ არიან საღაო და აკრძალულნი, ან თუ მოვალე ჰყავს მა-

მულს, მაშინ მოვალეები თანხმდებიან უნდა გახდნენ, რომ ვინცობაა გირაოთ გასტანად პირველათ ბანკს მიეცეს თავისი ფული.

მინც ფულის მოითხოვს სესხათ ბანკისაგან იმან უნდა აიღოს მოწობა უფლის ვასამტეზოდგან, რომ ესა და ეს გვაირს მამულეებს მოსესხე პარისა ამა და ამ ალფას მდებარეებინო; განსაკუთრებით მამულის დაფასებას ითხოვებს ბანკის მმართველის ამხანაგი, ან ბანკის კანტორა, ან ბანკის აგენტი სამ-მუშაობელ მიწის მეპატრონის თანდასწრებით.

* *


ბანკი აძლევს სესხს იმისთანა მიწის გირაოში, რომელთაც შემოაქვთ გადაჭრილი სარგებელი და რომელიც იმყოფება იმ გუბერნიისაში, საცა ბანკია გამართული. საერო კრებამ უნდა განმარტოს რა-და-რა მიწებისთვის შეიძლება მიეცეს სესხი და ყოველგვარს მიწას თავის შესაფერს ფასს დაუნიშნავს. თუ საერო კრებამ გადაწყვიტა, შეიძლება მიწის დაფასება მიენდოს უფლის ვასამტეზოს, რომელიც ამისთვის დანიშნავს ერთს თავის წევრს მგზობელი მიწის მეპატრონის თანდასწრებით. მიწის დამფასებელნი პასუხს აგებენ, თუ ვინცობაა უკანონოთ დაფასეს მიწის გირაო და ამისგამო ბანკს ზარალი მიეცა.

* *

რამდენათაც გირაოა დაფასებული, იმის ნახევარ ფასზე მეტს არ მიეცემა სესხათ გირაოს მეპატრონეს. თუ საერო კრებამ გადაწყვიტა, შეიძლება იმაზედაც ნაკლები მისცეს მოსესხეს.

მამულის აწერის შესამოწმებლათ და დაფასებამ რაც ფული დანიხარება სესხის მთხოვნელმა წინდაწინ უნდა წარადგინოს ბანკს და თუ ვინცობაა შემდეგ სესხი არ მიეცეს ფული მაინც დაკარგული იქნება. შენობიდგან მხოლოდ ის სახლები ქეთიკირისა ან ხისა, დუქნები ჭაბრიკები და სამოხელე მოკობილობა მიიღებინან გირაოთ, რომელნიც ულევნ ნიადაგს შემოასავლს და რომელნიც იმყოფებიან იმ გუბერნიისაში, საცა ბანკია გამართული. როდესაც ბანკი მიიღებს გირაოთ შემოსხნებულ შენობას, ის მიწებიც უნდა გამოჰყვეს, რომელნიც ამ შენობებს უჭირავს სახელობა რა ადგილს მყოფი შენობები უნდა მიიღოს ბანკმა, ამას თვითონ საერო კრებამ გადაწყვიტოს.

* *



რომელი მამულიც გირაოთ ეძლევა ბანკს, ის ბანკის მმართველის აზნაფმა, ან კანტარამ და ან ბანკის აგენტმა უნდა დაფასოს, ქალაქში თუ არის, ნაფიცი დამფასებლების დასწრებით, და სოფლათ თუ არის, მაშინ თვითონ ბანკის მოთაფე კაცებმა უნდა გადასწყვიტონ, დამფასებლათ ვინ უნდა დაესწროს.

* *

როდესაც შენობის დაფასებას შეუდგებიან, ნგარიშში ჩააგდებენ შენობის სიგანძეს, იმის შემოსავალს და სასარგებლო მდებარეობას; მაგრამ ათი წლის შემოსავალზე მეტი არ უნდა იყოს, შენობა ქვეითკირისა და თუ ხისა, მაშინ ექვსი წლის შემოსავალს აღარ გადაემეტება. **მ**თუ სესხს ითხოვენ ჭაბრიკის ან სახელოსნო გაწყობილების გირაოთ, ჭაბრიკის ფასში არ ჩაითვლება არც მანქანები, არც საქონელი, არც სხვა მოძრავი ქონება და არც შემოსავალი. მებატრონეს ვალათ მიეცემა მხოლოდ იმის ნახევარი ფული, რამდენათაც ჭაბრიკა, ან შენობაა დაფასებული. **მ**თუ შენობა ჩაბარებული აქვს რომელსამე საზოგადოებას, რომელიც იკისრებს შენობის გადახდას, ვინცილობა რომ რამე გაუჭირდეს, მაშინ ბნკი მისცემს ამ შენობის მებატრონეს; სესხათ იმდენს ფულს, რამდენათაც იმ საზოგადოებას აქვს დებული. მინც თავს ვალზე არ შეიტანს ბანკში რამდენიც სესხში ერგება, იმდენს გადასახდას, იმას თუთხმეტს დღეს კიდევ დააღლიან, მაგრამ ბანკის სასარგებლოთ გადახდებიანებენ შტრაფათ იმ ფულის ასის თავს, რაც ბანკში უნდა შეეტანა ვალზე. **მ**თუ ამ თუთხმეტის დღის განმავლობაშიაც არ შეიტანა მოსესხებმ ხეცერი, მაშინ ბანკის მმართველი განკარგულეებას მოახდენს, რომ მმართველის აზნაფმა, ან ბანკის კანტარამ და ან ბანკის აგენტმა შემოაწმონ დაფასების წიგნები. შემოაწმების დროს უნდა დაესწრონ გირაოთ შეტანილის მამულის მებატრონე, ან იმისი მაგფერი კაცი. როდესაც ერთი თვე გავა ვადის გადაცილების შემდეგ, ადგილობრივს გუბერნიის უწყებებში ან მთავრობის მოამბეში გამოცხადდება ვადა, როცა უნდა გაიყიდოს მოსესხებეს ქანება თავის დროზე ვალის გადაუხდელიობისთვის.

* *

რომ მოეპირეს გაუადვილდეს დგირაფებულ აღვღლ-მამულის ყიდეა, თუ ისუტყვებს,

ბანკი იმაზე გადაიტანს თავის ვაცემულის ვალს, გარდა იმ ფულისა, რომელიც ვალზე უნდა დაბრუნებოდა. **მ**თუ პირველ შევაჭრებაზე ვერ გაიყიდა, სამ თვეს იქით მეროტთ დანიშნენ ამ მამულზე ვაჭრობას და თუ მაშინაც არა ეშველარა, ბანკი ჩაიბარებს ამ ქონებას და ერთი წლის განმავლობაში მოვალე იქნება, როგორც ჰსურს იმ ფასათ ვაჭყიდოს.

* *

მთუ ამ ერთი წლის განმავლობაშიაც ბანკმა ვერ ვაჭყიდა ეს ქონება, რიგთან ფასათ მაშინ თუნდ ნაკლებ ფასათაც იყოს, მაინც უნდა გაიყიდოს და ბანკის ვალს, იმის პროცენტს და შტრაფს თუ ვერ აუვიდა, იქიდან აღებული ფული, მაშინ ეს ამავე უნდა განუტყადდეს საერო კრებას, რომელიც დანაკლის ფულს გადახდებიანებს მამულის დამფასებლებს და იმით შეუსრულებს ბანკს თავის ხეცდრს ფულს. **მ**თუ საქმე ვაჭირდა დამფასებლებს შეუძლიანთ მისაკუთრონ ეს ქონება, ოღონდ კი ბანკს მისცენ თავისი ხეცდრი ფული.

* *

საერო ბანკში გირაოთ მიიღება ისეთ მიწის ნაწარმოები, რომელსაც ადგილობრივათ კარგი ფასი აქვს. სესხათ მიეცემა იმის ნახევარი ფასი, რამდენათაც საქონელი ან ჭირნახული ღირს. როცა ბანკი ფულს ასესხებს საქონლის ან ჭირნახულის პატრონს, მაშინ ცალკე პირობის წერილსაც გამოართმევს, რომ დანიშნულს ვალზე გამოისყიდოს და თუ ვინცილობა თავის პირობა არ ასრულა, გირაოში აღებულ ფულს გარდა სხვაც გადახდება.

* *

რა ნაწილებსაც მოსესხე ვადაუხდის ბანკს, იმის შესაფერს საქონელსაც დაისხნის ბანკისაგან. **მ**თუ ვინცილობა მოსესხებმ ვალზე არ შეიტანა ბანკში იმდენი ფული, რამდენიც რიგია, ათ დღეს კიდევ ააღლიან და მერე შეუდგებიან საქონლის გაყიდას, იმ წესით როგორც ზემოთ იყო მოხსენებული.

* *

ბანკი კარს ვაუდებს ფულის სასესხებლათ იმ კაცებს, რომელნიც წარმოადგენენ კეთილსანდო გვაგებს.

ბანკის ვამგეობამ უნდა განსაზღვროს, რამდენის სესხება შეიძლება მოსესხისა და იმის თანდები პირის შეძლებისა დავგარათ. როდესაც წაღობა აქვს ბანკში, ის მთელს იმ

ფულს, რამდენიც სესხათ განწესებული აქვს, მაინცა და მაინც ერთად თუ ვერ გამოიტანს შეუძლიან ნაწილ-ნაწილათ აიღოს. **მ**ს სესხი შეიძლება ვალზე აღრეც მიუბრუნოს ბანკს, თუ ღონისძიება ექნება. **მ**თუ ვალზე ვერ გადაიხდა, ქონებას ვაუყიდიან და თუ ესეც ვერ აუვიდა, მაშინ იმის თანდების ქონებასაც ხელს მიჰყოფენ, როგორც კანონით არის ნაჩვენები.

სამუშროო სწობა.

მრთი რუსეთის მებატრონე სახელათ ტელიაკოვსკი იწერება, რომ იაროსლავის გუბერნიის ბორისო-გლების უეზღში იყო ამ წლის თორმეტს იენისს აზნაურობის ყრილობა, სადაც ერთ ხმათ მიიღესო ჩემი აზრი საქონლის მამენებელი საზოგადოების დაწესებისთვისო. ამ საზოგადოების განზრახვა ის იქნება, რომ ყოველის ღონის ძიებით მოცხმაროს შინაური საქონლის ჯიშის ვაკეთებასო.

* *

ტელიაკოვსკის აზრით ამ განზრახვის ასასრულებლათ საზოგადოებამ უნდა მოიხმაროს შემდგენი საშუალებანი: 1, უნდა დაიბარონ საუკეთესო შინაური ჯიშის პირუტყვები და დარიგდეს საზოგადოების წევრებს-შორის. 2, ადგილობრივის იაროსლავის შინაურს პირუტყვს უნდა დაერთოს ხოლომე სხვა საუკეთესო ჯიშის საქონელი იმ განზრახვით, რომ საზოგადოებამ ჭააშენოს რა თვისებისაც ჰსურს იმისთანა პირუტყვი. 3, ადგილობრივი პირუტყვი უნდა ვაკეთდეს უკეთესი ჯიშის დართვით და კარგი მოვლით. 4, უნდა ვაკეთდეს და ვამრავლდეს რომანოვის ჯიშის ცხვარი, აგრეთვე საუკეთესო ცხვრის ჯიშის დართვით და კარგი პატიეებით. 5, საზოგადოება უნდა შეეწიოს იმ კაცს, რომელიც სთხოვს საზოგადოებას, ვის ჰყავსო, ან როგორ იწოვებოა, საუკეთესო ჯიშის დაბარებული საქონელი, ან დართვით ვაკუტეესებული იაროსლავის პირუტყვი, ან რომანოვის გვარის ვაუშჯობებსებული ცხვარი. 6, უნდა ვაკეთდეს სამაგალითო საზოგადო ვერძები და ყველის საკეთებელი ქარხნები აზნაგობით ვამართოს.

ამ წესდების პროექტს, როგორც კანონია, იმ წესით წარადგენენ დასამტკიცებლათ.

სამოხელო ნაწარმოების გამოფენა რუსეთში 1870 წელს.

შველზე უფრო წამკეზებული სხვა-და-სხვა მოხელობაში ნაწარმოების ანუ ნაკეთების გამოფენა. წარმოიდგინეთ უზარმაზარი შენობა, სადაც ყოველგვარი ნახელაყი კაცისა დაწყობილია, სადაც სხვა-და-სხვა მოხელეს შეუძლიან გაშინჯოს ჩიოთ, ან ხალიჩა ან სხვა-და-სხვა რკინეულობა და ძვირფასი ნაკეთები აბრეშუმის ან მატყლის საქონელი. აქ ერთი მგორის ნახელაყის გასინჯვით, იმის კეთების ანგარიშის შეტყობით ყოველი მოხელე იძინს ბერეს ახალს ცოდნას და თვითონაც ხშირად შეუდგება თავის ნახელაყის გაუკეთებებს, რადგან იქ ხედავს მრავალს მაიზე უკეთესათ ნაკეთებს ნივთებს, რაც თვითონ მოუტანია, და ამას გარდა შეიძლება იმან ამ ნახეის შემდეგ ახალი რაიმე უკეთესი ნივთის გაკეთებასაც ხელი მიჰყოს. სხვათა შორისაჲ არის შემდგარი საზოგადოება რამოდენიმე მცოდნე და დახელოვნებულ კაცებისგან, რომელნიც გარჩევენ სხვა-და-სხვა ხელობის ანუ ოჯახობის ნაკეთებს ნივთებს და საუკეთესო ნაწარმოების პატრონს დასაჩუქრებენ მენდლებით და სხვა მრავალნაირი კარგი მოწოდებით. და ეს კიდევ უფრო გაამხნევეს მწარმოებელთა შრთი სიტყვით ქვეყნის ხელობის და ყოველნაირი შრომის გასაუმჯობესებლათ გამოფენისთანა არა არისრა.

წველს პეტერბურგს იყო ყოველგვარი ნახელაყი და ერთი ნაწარმოები ნივთების გამოფენა. ამბობენ, ჯერ რუსეთში ამისთანა მდიდარს გამოფენას არავინ მოაწერებია.

შველზე უფრო მრავალ გვარისა და კარგი ღირსების ნივთები ხელსაქნარობით ნაკეთები ყოფილა. მს ამტკიცებს, რომ რუსეთში ყოველნაირი ხელსაქნარობა (მანუფაქტურა) დღეს წარმატებას მისცემია. მაგრამ მარტო ერთი თვალის გადავლება წლებგანდღვს გამოფენაზე ვერ დაგვიმტკიცებს ცხადათ ამ აზრს. ჩვენ ამის დასამტკიცებლათ უფრო ნამდვილი საბუთები გვაქვს.

როგორც ამ ათის წლის წინათ იყო ცნობა შეკრებოლი, რუსეთში ასთერთმეტე კანაფის სამოსლის და ტილოს საქსოვი ქარხანები იყენენ. ამ რიცხვში მხოლოდ თექვსმეტ-

მა ქარხანამ ვაგზანა პეტერბურგს თავის ნაწარმოების ნიმუშები. ამ ქარხნებში ათწლის წინათ შეიდი ათას ხუთასი კაცი მუშაობდა და იმათი ნაწარმოები წელიწადში ოთხ მილიონ ნახევრისა იყო. ამჟამათ როგორც გამოფენაზე შეტყობილ ამბავიდან სჩანს, შემოხსენებულ ქარხნებში მუშაობენ თერთმეტ ათასზე მეტი კაცი და ყოველ წლობით ამზადებენ ექვს მილიონ ნახევრის საქონელსა.

აქედგან სჩანს, რომ ათის წლის განმავლობაში ამ ქარხნებს ორი მილიონი მოუმატრია და ეს ამტკიცებს ძალიან დიდს წარმატებას. რიცხვით რომ ვინაგარიშობათ ეს წარმატება, რასაც ათის წლის წინათ აუეთებდენ წელიწადში, ახლა ერთს და ნახევარს იმდენს აკეთებენ.

თოკების მწველ ქარხანებში მხოლოდ ყველაზე დიდებმა გამოგზანეს თავის ნაწარმოების მიწეში ამ გამოფენაზე. ჩვენ აქ მხედველობაში ვიკონებთ მხოლოდ სამს ქარხანას, რომელთაც ათის წლის წინათ ექვსას ორმოცდა ექვსი მუშა ჰყავდათ და ყოველწლობით ამზადებდენ რეას ოთხმოცდა სამი ათას ას თუმნისას. ამჟამად იქვე მუშაობენ შეიდას ათი კაცი და ამზადებენ მილიონ სამას ორმოცდა ათათას თუმნისას; ათის წლის განმავლობაში წარმოებას უმატრია წელიწადში ხუთას ცხრამეტი ათას თუმნისა. მუშები კი სამოც კაცზე მეტი არ მომატებია.

რიცხვით რომ შევადაროთ ამ ათის წლის წინათ რასაც ქარხანა წელიწადში აკეთებდა, ამჟამად ყოველ წლივ ერთს იმდენსა და იმის ნახევარზე მეტს აკეთებს. აქედგან სჩანს რომ თოკების და ბაწრების საკეთებელს ქარხანებს კიდევ უფრო წარმატებით უვლიათ. მაგრამ აქ ეს უნდა ვიკითხოთ მუშები რომ ძალიან ცოდნანი მომატებთან და წარმოება ძალიან გადიდებულა, ეს რა მიზეზია?—ალბათ კაცის ხელით აქ იმდენი არა კეთდებარა, რამდენიც მანქანებით და მართლაც არც ერთს ქარხანაში ისე ცოტა კაცის ხელი არ სჭირდება სხვა და სხვა მანქანების გამოისოობით, როგორც თოკებისა და ბაწრების სამზადებელს ქარხნებში.

რუსეთის ვახუთები, აი რას ამბობენ: დიდის სიხარულით უნდა მიაქციონ ყურადღება

რუსეთის მოხელეებმა იმ დიდს სარგებლობას, რაც თოკებიდან შემოდის. ამ ნივთის წარმოებას მკვიდრი საფუძველი თითონ რუსეთში აქვსო, რადგან კანაფი კარგათ მოდის და შეიძლება ძალიან გაძლიერდეს იმის მოყენა. ამჟამათ ყოველნაირი ნაძედი კანაფისა, სელოსა და სხვანი: გააქეთ რუსეთიდან სახელგარეთ, საცა აკეთებენ თოკებს და ისევ რუსეთს ჰყიდიან, შეიძლება ყველა ესენი თვითონ რუსეთის ქარხნებში მომზადდეს და რუსეთშივე ვაიყიდოს, რადგან თოკებით ვაჭრობა თანდათან ძლიერდება და როდესაც რუსეთის ფლოტი (ხომალდების და გემების კრება), რომელიც ამჟამათ სწრაფათ იზრდება, როცა სისრულეში შევა, მაშინ ხომ ძალიან დიდი გასავლი ექნება ამ წარმოებასა.

— ბამბეულობის წარმოება თუ რა მდგომარეობაშია, ამის გამოსანგარიშებლათ ჩვენ თვალწინ დგას ოცდა თერამეტი ბამბეულის ქარხანა, რომელთაც გამოუგზანეს თავის ნაწარმოები ამ წლის პეტერბურგის გამოფენაზე. მს ქარხნები ამზადებდენ მრავალნაირ პირკლებს და ჩითებს. იმათ ჰყავდათ თითქმის სამოცდა ხუთი ათას ხუთასი მუშა და მოჰყავთ ნაწარმოები თითქმის ორმოცდა ორთ მილიონისა. თვითონ ქარხნებიდან გამოგზანეილ ცნობებისგან, აი, რას ვტყობთ ულობთ: ამჟამათ ამ ქარხნებში ოთხმოცდა თორმეტ ათასზე მეტი მუშა და აწარმოებენ ყოველ წლობით სამოცდა ხუთ მილიონ სამას ოთხმოცდა სამ ათას მანეთისას. აქედგან სჩანს, რომ ათის წლის განმავლობაში წარმოებას ორმოცდა ხუთმეტ მილიონზე მეტი მოუმატრია, ესე იგი ერთ ნახევრათ გადაიდებულა.

მატყლის ქარხნების წარმოება რომ ისე გამოვიანგარიშოთ, როგორც ზევით გვიანგარიშებია, გამოვა, რომ მრავალნაირ მატყლის წარმოებას რუსეთში ყველაზე უფრო უმატრია. ოცდაექვსს მატყლის ქარხანა რომელთაც გამოფენაზე გამოგზანეს თავის მიწეუშები, მუშები მომატებთან ათის წლის განმავლობაში სამი-ათას სამასი კაცი და წარმოება კი შეიდას ოცდა-შვიდი ათასმანეთისა; ესე იგი რასაც ამ ათის წლის წინათ მუშაობდენ, ახლა ორი იმდენზე მეტს აკეთებენ. მაუდის კეთება კი არ ასწეულა; ოთხას-

ითხმოდ და ცხარე მუდის ქარხნებში მხოლოდ
ოდ და ცამეტმა გამოგზავნეს თავის ნაწარმოა
ებ და აქედან სწინს რომ იმათ ერთი მესა
მელთ მოღვაწეობა იმისა რასაც ა ათის წლის
წინათ აკეთებდნენ.—

ახლა საზოგადოთ რომ ძიანებს თვალი
ვადვადლოთ შემოხსენებულს ყოველგვარს
ხელობის ნაწარმოებს (რუსეთში, შეგვიძლიან
ეს გამოვიყვანოთ, რომ საზოგადოთ ყოველ
ნაირი ხელობის წარმოება (რუსეთში დიდს
წარმატებას მისცემია ამ ათის წლის განმავა
ლობაში და ამის მიზეზი უქვევლოთ უნდა
იყოს ბატონ-ყმობის განთავისუფლება, უკე
თესი საწოლსაწოლო და განამებობ დაწყობი
ლების შემოტანა, რომელსაც ყოველნაირ
თავისუფალ შრომისთვის ხელეგი ვაუხსნია.

წერილი კატარაგორიდან.

წ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ს გ ა მ ო ფ ე ნ ა ზ ე .

წარსულს „ღროების“ გაზეთში იყო და
ბეჭდული პეტერბურგდგან გამოგზავნილი
წერილი უფ. სულხანოვისა, რომელიც გან
საკუთრებით ძველადგან გაგზავნილს მოხე
ლობის ნაწარმოებზე ლაპარაკობს და რადგან
კარგი ყურის დასადგები ამგებია, ამისთვის
ვბეჭდვით იმას ჩვენ „სასაფლო ზაზეთში“.

* * *

„მს ახლანდელი გამოფენა თუმცა მეთოთ
ხმეტე სახელსონა გამოფენათ ითვლება, მაკ
რამ ცხადია, რომ ჯერეთ ამ სახით თაოსნათ
დაწყობილი სისრულით მომართული გამოფენ
ა რუსეთს არ გაუმართავს და არც უნახავს;
პირველი საქირება გამოფენისათვის ეკსპო
ნენტების (წარმომდგენილი საგნის პატრონის
ან გამკეთებლის) სიმრავლეა; ამას რაღა თქმა
უნდა, და ამის უკან თვით გამოფენის შენა
რის რიგიანი დაწყობილება და ფართობა.
მსლანდელი გამოფენის სახლი ისეთი სრული
და სინათლოანი, რომ ყოვლის გამოწყობი
ლის საგნის და ნიეთის ნახვა და გაშინჯვა
აუბრალოდებლათ შეიძლება. შენობას უჭი
რეს ოთხ-დღიურ ნახევარზედ ცოტა რამ მე
ტ მს ადგილი დაყოფილია შეილ განყოფი
ლებათ, თითო მათგანი იყოფა რამდენიმე
კლასბათ, სადაც ნიეთები ცალ-ცალკეთ
არის გამოწყობილი საკუთარს კლასსებათ,
ერთ ჯგირიანი საგნები ერთათ, და სხვ.

რასაკვირველია, საზოგადოთ ხელობის
სა და ვაჭრობის წარმატებისათვის გამოფენა
ზედ უკეთესი და სასარგებლო ღონისძიება
თითქმას აღა მოგონება. გამოფენა ამ შემ
თხვევისათვის პირველი მიზეზია წახალისებისა,
რომელიც ეწვევა და ახალისებს ყოველს მწარ
მოებელს და ნიჭიერებს აფასებს და აჯილ
დავებს.

გამოფენის გამართვა მოგონეს შრან
ტუხეზმა და პირველათ გამოფენა გომარ
თა რევოლუციის დროს, პარიჟში. ამის
თანა სასარგებლო და კეთილის მოგონების
თვის საფრანგეთი სწორეთ დიხსია მდლო
ბისა, რადგანაც ყველგან ამათის მიხამეით და
იწყეს გამოფენის გამართვა. საფრანგეთის
შემდგომ რუსეთმა თითქმის ყველაზედ
აღრე აღენა ყური ამ სასარგებლო საგანს
და 1829 წელს გამოფენა გამართა. აქედგან
დაწყებული, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ეხ
ლანდელი გამოფენით, რუსეთს თოთხმეტი
გამოფენა გაუწყვია. ამდენი გამოფენა გა
მართულა რუსეთში, და ჩვენ, ძველსის მცხოვე
რებლობს, იმ გვარი მონაწილეობა არცთ ჯერ
არ გვექონია, როგორც ეხლანდელს გამო
ფენაში.

გამოფენაში საქართველოს განყოფილება
ყველაზედ გვიან გაიმართა; მიზეზი ამის ეს
იყო რომ ცამეტს აპაროს მთილისიდან გა
მოგზავნილი ნიეთები მათის გასულს ძლიეს
მოგვივიდა, და ჯერ ჩვენთვის დანიშნულს
განყოფილებაში ნიეთების გამოწყობას და
დალაგებას არ ვიყავით მორჩენილი, რომ იმო
დენი ხალხი მოგვაცუდა, რომ სრულად დროს
ველარ ვბრაულოდნით, ისე ხეირიანათ დაგვე
ლაგებია, როგორც აქ სხვაგანყოფილებაშია.
ამის მიზეზით, რაც კი შეიძლებოდა, დალა
გება დაეაჩქარეთ და ხალხმა თავისუფლათ
დაიწყო სიარული. ჩვენი ძველსის განყოფი
ლება უფრო თავს ისახვლებდა და ფრიად
საინტერესო იქნებოდა, რომ სიმრავლე ამა
ზედ მეტი ჰყოფილიყო, რადგანაც საზოგა
დოთ დიდი მოთხოვნილება აქეს აქ საქარ
თველოს ყოველს გვარს ნიეთებს, მაგრამ
ამ სიშორეს მოტანაც დიდს შრომას და
ხარჯს მოითხოვს ამის მიზეზით, ბევრი ერთ
ნაირი საგნების მოტანა შეუძლებელი იყო.
გამოფენისთვის რომ კამიტეტი იყო დანიშ
ნული, იმან სამძიმოთ დანიხა თითო ნიეთე
ბის მეტის გამოგზავნა ყოველ გვარი საგნე

ბისა. რაც შეეგება ჩვენს ძველსის განყოფი
ლებას, რომელზედაც დაიწვეთ ეს საუბარი
ყოველმან ჩვენებურმა საგანმა სრული ყუ
რადლება მიიქცია გამოფენაში, ნამეტნავათ
კახურმა ლენიგებმა, თამაქიამ, ყველმა და
სხვ. ჩვენში გაკეთებული შეიცარებელი ყველი
ბევრით უკეთესად იცნეს აქაურზედ, აგრეთ
თვე შულო ყველმა და ოსურმა აღტაცებუ
ში მოიყვანეს თვით ეკსპერტები (გამშინჯვე
ლები, დამჯილდოებლები). აგრეთვემეტი
ხომ ყველაზედ უკეთესი აღმოჩნდა, ბამბა,
მატყლი, ენდრო, თიფიკები, გიშრის კრია
ლოანები, აგრეთვე თევზულოდმდგან ხიზი
ლლა; ერთის სიტყვით ეს ზემოთ მოხსენე
ბული საგნები ისე მოეწონათ, რომ მე
ტი აღარ შეიძლება და მოთხოვნილება ამა
ებს იმდენი ექნება, თავის დროზედ, რომ
სრულს სარგებლობას უნდა მოგვლოდეთ.
ზარდა ამებისა, ჩვენს ძველსის განყოფილე
ბაში აღმოჩნდა ისეთი საგანი, რომელიც
სრულად ახალი და გაუგონარია რუსეთის
ჭაბრიკანტებისთვის, მაგალითად აილანტის
აბრეშუმი. მს კია ვაჩინა საქართველოში
პირველად, ძველსის სამეურნო საზოგადოვე
ბის სეკრეტარმა, უფ. სიტოცკიმ. ჩვენს ამ
ჭიის სარგებლობას ამ შემთხვევაში არ ვებე
პით. ბილანტის ჭიიდან გაკეთებულმა ძველ
და ამავე ჭიის პარკებმა, როგორც ზემოთა
ვთქვით, მთელს გამოფენაში ისეთი საკუთა
რი ყურადღება მიიქცის, რომ პეტროვის სა
მეურნეო აკადემიის პრაფესორმან, უფ. მოსოვე
მა, წიკითხა ლექცია და ის აზრი გამოთქვა,
რომ ფრიად სასარგებლო და საქირო საგა
ნია.

საზოგადოთ, ჩვენი ძველსის განყოფილება
მართლად უფრო ამით არის შესანიშნავი
ყველაზედ მოამატებულათა, რომ ყოველი
თვით უბრალო-ნიეთები, რაც კი საქართვე
ლოდგან ყო, უცნობი იყო რუსეთის საზო
გადოებისთვის, და ამისგამო ყველა იწონებს,
აღტაცებაში მოდის და დიდის სიამოვნებით
ყიდულობს. მაგალითად თიხის ჭურჭელი და
ქართული საღინები, აგრეთვე სილინდის სი
ნები, პირველსავე დღის დაიტაცეს და ამის
შემდგომ იმოდენი მუსტრელები არიან, რომ
მელნიც კითხულობდნენ თუ რაწარით შეიქ
ლება ამ საგნების ზოგნა. ამასთანავე, რუბში,
უნდა იცოდეთ, რა სასწაულის ახდენს! ის ძვეს
წყლით სამსე, შემოსაცლის კარების მარჯვენა

მხარეს, იმას მუდამ ეხვევა აუარებელი, ხალხი ქალი თუ კაცი; ზოგი, ფებს ცემენ, ქალები ზონტაქის წვერებით თითქოს უხიზინებენ. იმართება ამაზედ მოუღალავე საუბარი, და ეს ქართული ხელოვნება დიდთ უყვირთ, ასე რომ მნახველები თან-და-თან უფრო და უფრო ემატება. მართა სიტყვით ამით რუმუზედ განცვიფრების სრულად გარდმოცემა შეუძლებელი საქმეა. მინ დაიჯერებს, რომ ზოგნი უფრო რუმების სანახავთ მოდიოდნენ ხელახლად გამოფენაში, რადგანაც რამდენიმე გზით ჰყოფილიყენენ გამოფენის სანახავთ.

სამეცნიერო ნაწილი.

რა გარჩევაა ცხოველსა, მცენარესა და მანდელს შუა.

სოცხალი სხეული დიდი სიბრძნით არის აგებული. თუ კი არის რაიმე უდგენილობა ან ელემენტები, თუნდ რომელიმე ჰაერგვარი იყოს, იმათგან სხეულის ორგანოები საუსხოვრო ნივთებს გააკეთებენ. იქნება კაცმა თავის მეცნიერებით როგორმე გამოიჩინოს იმათი უდგენილობა, თორემ გაკეთებას როგორ მოახერხებს, მაგალითად, ძროხა ხომ ჰაერით, წყლით და ბალახით იკვებება მარტო, მაგრამ აბა ნახეთ რა საუსხოვრო ნივთებს აწვადებს თავის ტანში; რძეს, კონს, და ხორცს; ან თუნდა სახამთრო, ან ნესვი ავილოთ: ძირები მიწაში ჩაუყვიათ და თვითონ წამოწოლილან ვერადზე გაფიცებინან მზეს და სწუწნიან ჰაერს, წყალს და ზოგიერთ პატარა წყალში გამდნარ მიწის ნაწილებს. მაგრამ, აბა, გემო გაუსინჯეთ, როგორი ტკბილნი არიან, როცა დამწიფდებიან; რაც იქ შექარი კეთდება, ის არც მიწას მიუცია იმათთვის, არც ჰაერს, არც წყალს და არც მზეს.

* *

მანდელობა ისე კი არ იხდება, როგორც ცხოველი და მცენარე. ისინი ხან იხდებიან ხან არა, როგორც შეხედებათ. რამდენიც უფრო ბევრი მანდელი ნაწილები ან არა და ბროლები მიეკვრებიან ერთმანერთს, იმდენით უფრო დიდი მანდელი კეთდება, ისინი არ მოძრაობენ, თვით-უფლთ გლიან ერთს აღაგას, თითქოს მეკრებოიყონ; ერთი ნაწილიც ტყულა არ შეინძრევა. ორგანიან სხეულებში, ესე იგი ორგანოსნებში ყოველი ნაწილი მუდამ მოძრაობს: — ზოგი ბევრსა და ზოგი

ნაკლებს. მცენარე თვითონ არ მოძრაობს, იმაში მხოლოდ წრბოლი (წვენი) დადის, ცხოველი კი ამას გარდა თვითონაც დადის.

* *

შორგანო და ორგანიან სხეულებს შუა კიდევ უფრო დიდს განსხვავებას მაშინ ევობთ, როდესაც დაწერილებით განვიხილავთ, როგორ წარმოსდგებიან ქვეყანაზე ან როგორ იბადებიან: ჩვენ ვიცით როგორც იბადება მანდელობა ქვეყანაზე: — რაღა ბევრი გაეგარძლო, ერთგვარი ნაწილები ერთმანეთს მოეჭიდებიან შეადგენენ ერთ ნაჭერს და საქმე ამით თავდება. ცხოველი და მცენარე ხომ ეგრე არ არიან. ისინი როგორც თვითონ არიან, სწორეთ იმისთანა ცხოველისა და მცენარისგან იბადებიან. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ხორბლითგან იბადება ხორბლის მარცვალი და არა ქერი: ატმის კურკისაგან გაიზდება ხე და უსაცილოთ მოგვეცემს ატამს და არა მსხალს; ქათმის კვერცხისგან გამოიჩიკებიან წიწილები და ბატის კვერცხიდან ქუცები. თუ გესურს, რომ მცენარე, ან ცხოველი დაიბადოს, ჯერ უნდა იყოს ქვეყანაზე ამისთანა მცენარე, ან ცხოველი, რომ იმათგან დაიბადონ ისინი; თორემ თავისთავთ ესე იგი უღელმამოთ არც ცხოველს, არც მცენარეს გაჩენა არ შეუძლია.

* *

ბუნებაში ძალიან ბევრი სხვადა-სხვა პატარა ცხოველებია, რომელთაც კაცის თვალი ვერ ჰხედავს: ასე გასინჯე, სათვალეებითაც ვერ დაინახავს კაცი; იმათ დასახანათ მიკროსკოპი უნდა იხპაროს კაცმა. სტაქნიში რომ ბალახი ჩაყარო, ან პურის ნატეხი ჩაგდო და ზედ ცოტა წყალი დაასხა, ერთი კვირის შემდეგ ამ წყლიდან ერთი წვეთი ამოიღო და მიკროსკოპით დააკვირე, აუარებელი პატარა-პატარა ცხოველები გამოჩნდებიან, ისინი დახტან და დარბიან ამ წყლის წვეთში ხან აქ, ხან იქ. პირველათ ამისთანა დაყენებულ წყალში გამოჩნდეს მიკროსკოპით ეს ცხოველები და იმისთვის მეცნიერები იმათ სამიკროსკოპო ცხოველებს ეძახიან, რადგან ამისთანა ცხოველი უმიკროსკოპოთ არ დაინახება. ჰოველს დამდგარს ჭაობიან წყალში ამისთანა ცხოველები მრავლისაგან უმრავლესნი არიან. მს ცოცხალი სულიერები უბრალოთ არ ეკარგებიან. იმათი ჩრებიან იმათზე უფრო დიდი და შესლებული ცხოველები.


ბი. თუ თვით აღაგას დიდი ხნის ნადგამი წმინდა გდმოღუღებული წყალში, იმეხვევა კი ჩნდება ეს ცხოველი. აი, ამისთვის არც ჭაობის წყალი და არც დიდხნის ნადგამი წყალი კაცის დასაღვეთ არ ვარგა; თუ ამისთანა წყალს არ გაუფხილდი, შეიძლება უბედურება დაგეპართოს, ან ცივება გაგინდება, ან სხვა რამე სენი და აზრშიაც კი არ მოსდის კაცს, რისგან დაგეპართა ეს სენი.

* *

ზოგიერთი კიდევ იკითხავს: „საიდან ჩნდებიან ეს ცხოველები იმ წმინდა წყალში, რომ შიგ არაერთი სხეული არ არის?“ პირველათ ასე ფიქრობდენ და ზოგიერთებს ახლაც სჯერათ, რომ ეს ცოცხალი წერილმანობა თავისით ჩნდება. ბოლოს როცა კარგათ დააკვირდენ და უფრო ნამდვილი ამბავი გამოიძიეს, შეიტყვეს, რომ ეს ცოცხალი წერილმანი ცხრველები, როგორც რწყილი, ფუმფულა და სხვანი თავის სიკვილის შემდეგ სტოვებენ ქვეყანაზე შთანაჩენებს. მაშინ შეთანაჩენებიდან იბადება იმათი მზგუპი ახალი თავობა, რომელთაც დაუღვეთ ქვეყანაზე ეს შეთანაჩენები. ამ შეთანაჩენებს ევრავინ ჰხედავს, რადგან ძალიან პატარები არიან. მაგრამ ისინი მრავლისაგან უმრავლესნი დაშქრიან ყველგან და ამისთვის ჰაერში ძალიან ბევრნი იმყოფებიან. ჰაერიდან ისინი წმინდა წყალში ვარდებიან, სადაც ამ შეთანაჩენიდან იბადება ახალი თაობა.

* *

სამიკროსკოპო ცხოველისთვის სულ ერთია, საცა უნდა იყოს, ყოველგან იწყებს მრავლობას, ოღონდ სითბო, ნაში და საზღო საკმაოთ ჰქონდეს. ამისთვის მანდელებში ეს ცხოველი მრავლობას არ დაიწყებს. — იქ ის ვერ დარჩება, საზღო არააქეს; მაგიერთ ყოველი ლეში, ან დამპალი იმათ საზღოთ ჰხდება. ისინი აქ თავისუფლათ ცხოვრობენ და მრავლობენ და ზოგჯერ ისე გდიცვლებიან, რომ უფრო დიდი ტანისც გამოდიან. ზაფხულში თუ სადმე ლეში ან დამპალი ხილი ნახე, იმდენი წერილმანი ცხოველი და მატლები ცხოვრებენ ზედ, რომ კიდევ გიკვირს: საიდან გაჩნდნო ეს ამდენი წერილი არაბოა. რომელიც მოზდილი ტანის არის, აქ მხოლოდ იმას ჰხედავ, თორემ მრავლისაგან უმრავლესს უფრო პატარებს ხომ თვლით ვერ შენიშნავ, რომელიც აქ ცხოვრებენ. მართი



სიტყვით, საცა რამე დამალი, ან მკედარი სხეული ჰგლია, ყველგან მრავალია ეს სამიკროსკოპო ცხოველები. ისინი ყველგან ბევრნი იმისთვის არიან, რომ ძალიან მრავლობა იციან და ასე ბევრი იმისთვის მრავლობენ, რომ იმათ მრავლობას ბევრი არა უნდა რა: ერთი რომელიმე ამ ცხოველთაგანი იწყებს შუაზე დაწერილობას, თითქოს შუაზე ძაფი მოკერებოდეს და ბოლოს გაიყოფება ორათ. ამ სახით ერთ ბუსუს ცხოველისგან ორი გამოვიდა. ჰერ კიდევ საკმაოდ ვერ უცხოვრიათ ამ ორ ახალ დაბადებულებს, რომ კიდევ იწყებენ შუაზე გაყოფას: ასე რომ ორისგან ოთხი გაჩნდა, ოთხისგან რვა, რვისგან—თექვსმეტი, თექვსმეტისგან—ოცდა ოთრმეტი და ამ რიგით ცოტახანს შემდეგ ერთი ათასათ იქცევა.

* *

ეს ცხოველებიგანა მარტო დამალ სხეულებში კი არ მრავლდებიან, ისინი ჩნდებიან იმისთანა ნივთებში, რაც იწყებს წახდენას და დარღვევას. ამისთვის ყოველი ძველი ხორაგი, ნადები ხორცი, თევზი, დამალი ხილი და ბოსტნეულთა ანებს კაცს და ყოველი კაცი უნდა ერთდოს იმათ ქამას. მსეც უნდა იცოდეს კაცმა, რომ ეს წვრილმანი ცხოველები აღიან ჰაერში და ახდენენ იმას. მაშინ ჰაერიც კაცის საწამლაგია განსაკუთრებით იმ ალაგებში, საცა მრავალი ლეში და დამალი მცენარეულთა იმყოფება. ამისთანა უწინდურთა და აყოლობული ადგილები უფრო ბევრი იქ არის, სადაც ბევრი ადამიანი ერთად ცხოვრობს, ქალაქებში, სოფლებში, განსაკუთრებით იმისთანა ალაგებზე, საცა კაცი ვერც კი მიმხვდება, რომ სიწმინდეს თვალ-ყური მიაქციოს. სიწმინდით ყოფნა განსაკუთრებით, ზაფხულობით უფრო ხშირათ არის, რადგან ყოველი უწინდურება მაშინ უფრო ჩქარა ლბება და ირღვევა, როდესაც უფრო თფილა. იმის გარდა, რომ ამ უწინდურებიდგან ჰაერში აღიან ამისთანა წვრილმანი ცხოველები, მრავალნაირი სენის გამჩენი ჰაერგარებიც კი აღიან. ჰველამ ხომ არ იცის, ამ დამალ ნივთებისგან რამდენი მრავალნაირი ჰაერგარები აღიან ჰაერში, როგორც ცეცხლიდგან კომლი, როდესაც რამე სხეული ლბება, ის მაშინ ნელ-ნელა იწყის და იშლება შემადგენელ ნაწილებათ და ამ ნაწილებში ხომ ბევრია იმისთანა ჰაერგარები, რომელნიც კაცის სიმთელეს ასწეუ-

ლებენ. ამ მენებელს ჰაერგარებს და ყოველნაირს წვრილმან ცხოველებს, რომელნიც ჰაერში დაქრიათ ჩენი თვალის შეუნიშნავით, ჩვენში ეძახიან საზოგადოთ ხაშხა და სწავლულები კი მ ი ა ს მ ს ა. ჰველამ ვიცით, რომ დახაშმული ანუ მოწამლული ჰაერი კაცის სენის შემშუსერგლია, მაგრამ ბევრმა კი არ ვიცით, საიდგან ჩნდება ეს ხაშხი ჰაერში.

* *

ამას იქით ცხადია ყველასთვის, ყოველდღე რათ უნდა დიდი წმენდა და დასუფთავება ჩვენს სადგომებს, ან ჩვენს ეზოს და წინ კარს, რომ ყოველივე უწმინდურობა და ცუდი დამალი ნაწილები მოვიშოროთ თავიდან.

* *

რასაც სიღამაზე მოერია, ან რამაც წახდენა იწყია: ნაფორია, თუ მძოვრია, ან შინაური ცხოველის ნაკელი, ან სხვა დაყრილი ნაგავი,—ყველა ესენი რომ იქ დაღბეს, საცა კაცები არ არიან, ურიგო არ იქნება; და ყველას ის კი ემჯობინება, რომ რაც წახდარი ნაწილებია, სულ ერთიანათ აიღებდენ და ორმოში დაფლავდენ; ან არა და დასწავამდენ.

* *

სამიკროსკოპო ცხოველებს გარდა. პატარა მცენარეებიც, ბევრია, რომელნიც სიდიდით იმის ტოლები არიან, როგორც ზემოხსენებული წვრილმანი ცხოველები. ჰველამ ვიცით, რომ ნამიანს ადგილებზე კედლები და სხვა ნივთები ობდებიან. ღაუბებულს აუწიან ან ჰაობიანს ადგილებში წყალი ყვითლდება; მაგრამ როცა მიკროსკოპით დაუწყებ განხილვას, მაშინ დარწმუნდები, რომ აქ პატარა მცენარეებისგან მთელი ტყე გაჩენილა. მს მცენარეებიც ხომ იმისთანა უჯრედებიდგან გაიზარდენ, როგორც ყოველგვარი ბალახი, ჯაგი და ხე; მაგრამ ეს მაწმინა მცენარეებიც ხომ თავისით არ ჩნდებიან; ისინი ყველა იბადებიან დედ-მამებისგან და ეს დედამებიც უწინ ისეთივე წვრილმანოა იყო, როგორც ახლა იმათი შთამომავლობა. მართალია ვერ ვხედავთ და არც შეიძლება იმის დახაზვა, თუ როგორ არ-ღარევა ეს მცენარის თესლი ჰაერში და მტვერთან ერთათ საცა არა გგონია, იქ ეცემა.

* *

მაგრამ გვეი არ არის, რომ ეს თელი ყოველგან იმყოფება და კაცმა რომ მოინდო-

მოს, ყოველგანაც ჰნახავს. მს თესლი ან როგორც ვეძახით, შთანჩენები დადიანს შთანჩენებსაგით გამოიღებენ ფესვს და ახალ კვირტს, ოღონდ საკმაო სითბო და სინამე ჰქონდესთ და არაფერი უშლიდესთ იმათ ზრდას. ამისთანა თესლი რომ ჰაერიდგან, ნამიანს ალაგს დაეცეს, ან თუ მშრალს ალაგზე ძვეს და დანოტიოვდა, ის უტყვევლათ გაიხარებს. ისინი ამ ალაგებზე გაზდიან თავის ბალახ-ბულახს, რომელსაც ეძახიან ჩვენებურათ ობსა. ნამიანს სადგომებში ხომ კედლებზე უფრო კარგათ იბდება ყოველგვარი ობი და სოკო. ამის გამო ამ სადგომებში ჰაერიც უტყვევლათ შმორიანი და დამალია. შმორის სუნი იმიტომ არის აქ, რომ ცოცხალი მტვერი, ან უკეთ ვთქვათ ობის თესლი თავის სუნთან ნაწილებით ძალიან ბევრი გაბნეულა ჰაერში. ამ ცოცხალ მტვერს კაცი ვერ ჰხედავს, მაგრამ სუნით ადვილათ მიხვდება იმათ ჰაერში ყოფნას. რაც უფრო ბევრია ჰაერში ამისთანა თესლი, იმდენათ უფრო შმორის სუნს გაიღებს ჰაერი და ამისთვის უფრო მენებელი დაუფარგისა სასუნთქებლათ. აი, რისთვის, ჰაერიდგან ეს წვრილმანი თესლი ფილტვებში ჩადის და სისხლს შეერევა, სისხლი კი და ტანში ყოველგან ატარებს; აბა, იმისგან რა სარგებლობას უნდა მოველოდეთ ჩენი ტანისთვის. როცა კაცი ნამიანს სადგომში ცხოვრობს, აქი ხშირათ დამწართება სახადი, ან სურაენადი და სხვა სატიკერები; ეს უფრო მაშინ მოხდება, როცა კაცი თავის ადგილ-სადგომათ ამოირჩენეს, სარდაფებს, ქართულს გამოურებს, სადაც ყოველფერს ხავსი და ობი ეკლდება, რაც უნდა დასდო.

* *

ბუნება ისე ბრძნათ არის აგებული, რომ კაცისთვის გაუფებარია, რა დიდხანს ინახავს ამ წვრილმანს თესლში სიცოცხლესა. ზოგს თესლს ჰხედავ, რომ გამხმარი და მაგარია; ის თავისთვის კუთხენში გლია და იქნება ათი და ოცი წელიწადიც გვიდეს, რომ იმას არა გაუჭირდებარა. ასე გგონია სიცოცხლის ნახახიც აღარ აქვსო, მაგრამ აბა დააყარე ზედ ერთი მუჭა სველი მიწა და ხან და ხან მორწყე, ჰნახავ, რომ ფესვს გამოიღებს და დიდ მცენარეთ გაიზდება. ამავე ნაირათ ხავსის ან ობის თესლიც დიდხანს რჩებიან მტვერათ და მერე თუ შემთხვევა მიეცათ, შესუშლიანთ ცოცხლდენ და გამოაღებინან იმისთანავე

რბი და ხავენი, როგორც იდგანაც თეთონ და-
ზადებულან.

ჩვენ ხომ ვიცით, რა განსხვავება ცხოველ-
მცენარის ცხოვრებასა და მანულების ცხო-
ვრებას შუა; მაგრამ ცხოველის ცხოვრებაც
სულ იმ გვარი არ არის, როგორც მცენარი-
სა. მაგალითად ცაცხეს რომ აქლემი შეედა-
როთ, პატარა ბეწვიც კი შენიშნავს, იმაში
რა განსხვავება არის. უნდა ვიცოდეთ, რომ
აქლემს არც ისე უბრალო აგებულება აქვს.
სხვაველთა სამეფოში იმას გამოიჩენილი, მაღა-
ლი ალაგი უჭირავს. ბევრია იმისთანა ცხოვე-
ლი, რომელთაც აქლემის სხეულზე ბევრათ
უფრო მარტივი უბრალო აგებულება აქვთ.
ამისთვის აქლემი ამ სამეფოში ბევრს ცხო-
ველზე წინ დგას, უკეთესი ალაგი უჭირავს,
მაგალითათ იმას წამალზე, კუზე, ჰიჭინებელა-
ზე და ლოკოკინაზე უფრო რთული და სრუ-
ლი აგებულება აქვს, უფრო გონიერიც არის.
მცენარეებს შორის ცაცხეზედაც ყველა შეი-
ძლება ითქვას, ამ ხესაც უფრო მაღალი ალა-
გი უჭირავს, ვინამც შრავალს სხვა მცენარე-
ებს. ისინი, რომ რაც უფრო უბრალო და
მარტივი აგებულების ორგანოსანია, იმდენათ
უფრო ცოტა ღირსება აქვს თავის სამეფოში.
რომელნიც უფრო რთული აგებულებისანი
არიან, ისინი რომ შეეადაროთ უფრო მდარე
აგებულების ცხოველთან, მაგალითად აქლემი
შიმინოს, შიმიწო ბაყაყს, ბაყაყი კოლოს, კოლა რა-
მე ქიას, ან ლოკოკინას, მაშინ შევნიშნავთ, რომ
სულ უკანასკნელი წება ისე მარტივი აგებუ-
ლების იქნება, რომ კაცი ვერას გაარჩევს.
ამავე ნაირათ რომ ცაცხეი ჰინჭარს შეუდარო,
ჰინჭარი მინდერის ბალახს, ბოლახი სოკოს ან
ხაგს, მაშინ კიდევ უფრო დიდს საკვირველ-
ებას ნახავ. მაგალითათ ავიღოთ ღრუბელი რა-
მლითაც ჩირქს სწმენდენ, ან აბანოში იბანე-
ბენ. აბა, ერთი მიიხსარი, რა არის? სხვაე-
ლი რომ ვთქვათ, ცხოველი არ არის, მცენა-
რე ვთქვათ, არც მცენარეა. ზღვის ძირში
კლდიან ალაგებზე ძალიან ბევრი შიდას ამი-
სთანა ღრუბლები. ამაზე ბევრი იფიქრებს სწა-
ველულებმა და ბოლოს გადაწყვიტეს: მოდი
ამ ბუნების სხეულს ცხოველ-მცენარე
დავარქვათო, რადგან მცენარეებსაც ჰგავს და

ცხოველსაც. ამ შემთხვევაში ცხადი საზღე-
რის ჩვენება მცენარეთ სამეფოსა და ცხო-
ველთ სამეფოს შუა ეტეც აღვილი არ არის.
* * *
აქლემად ვიცით, რომ ერთი გვარის ცხოვე-
ლები ყველანი ერთმანეთს ჰგენან. რაც იმათ
ასობები აქვთ სულ თანასწორათ აქვთ შეწე-
ყობილი; ერთს მეორეზე მეტი ან ნაკლები
არ ექნება. მაგალითად ბუხებს რომ შეხედო:
რამდენი ფეხი და ფრთები ერთს აქვს, მეორე-
საც იმდენი აქვს; არც მეტი არც ნაკლები; მცენა-
რე კი სულ სხვაა. მაგალითად ავიღოთ ორი
მუხა; ისინი ერთ ტყეში იზრდებიან, იქნება
ერთი ზის შეიღებებიც იყონ, მაგრამ, აბა, შტო-
ები ან ფოთლები დაუთავალო. შექველათ ერთს
უფრო ბევრს დაუთვლი, ვინამც მეორესა-და
ერთს სულ სხვა რაგზე მზიავს ტოტები, ვი-
ნამც მეორესა.
* * *
იმ ელემენტებში, რასაც ბუნება ხმარობს
კაცის, ცხოველის და მცენარის შესადგენათ.
კაცზე და ცხოველზე უფრო ბევრს აზოტს
ხმარობს, მცენარეს, კი უფრო ბევრს ნახშირ-
თავს ახმარებს.
* * *
სხვა და სხვა თავის ასობები მცენარეთვის
იმდენათ საჭირონი არ არიან, როგორც ცხო-
ველისთვის და კაცი თვის.
რუსეთის აბაზაში
(მაშეთიდან „ლოგომა“)
ჩრდის ევარხიის სამღვდელთობას წაუღო
დეკემბერში კრება. ჰქონია, რომელზედაც სხვა-
თა შორის შესწავლენი ვადაწყვეტილება მი-
უღია სამღვდელთობისთვის პენციის ფულის
შესაგროვებლათ.—
ამ გადაწყვეტილების ძალით, თითო მღე-
დელს და დეკანოს უნდა გადახდეს წელი-
წაღში ოცდა თექვსმეტი (36) მანეთი. შთა-
ვარდიკონს—თერამეტი (18), და დიკონს—
შედი (7) მანეთი. ამას გარდა, პენციის ფუ-
ლათ უნდა შევიდეს: ა, ასის თავი (1%) რაც
სადსო კრუჟებში ფული გროვდება; ბ, ასის-
თავი რაც სამღვდელთობა პირებს, საეკლესიო
შემოსავლის გარდა, სხვა ადგილებიდან ჯა-
მგერი ეძლევა; გ, დესტინიდან ორი შაუ-
რი რაც სამღვდელთობას მიწა აქვს ღრობით

მითვისებული, და მცირიდი გადასახდელიცა
საღვდელთობის პირს ჯილდო მარტინის სასწრაფო-
ლოებას იმედი აქვს, რომ ამ საშვალეებით
იმოდენა ფული შეიკრიბება, რომ ყოველ
მღვდლის ოჯახსა, რომელსაც ოცი წლის გან-
მავლობაში ის გადასახდი შეჰქონდა, ოთხასი
მანეთის პენცია დაუნიშნოს, მთავარდიკონი-
სას—ორასი, და დიკონისას—ასი. და ვისაც
ხუთი წლის განმავლობაში შეჰქონდა—იმათ
დაუნიშნოს ათი თუმნის პენცია, თუ მღვდე-
ლია, ხუთი თუმნისა—თუ მთავარდიკონია,
და ორი თუმანი ნახევრის, თუ უბრალო დიკ-
კონია.
ამ გადაწყვეტილებაზე ჩვენებური სამღე-
დელთობაც რომ დაუქრდებოდეს, კარგს
იხმას.
* * *
„მართებლობის რამაც“ სწერს, რომ სა-
სწავლებლების გამართვა უფრო და უფრო
ერცვლებდა სოფლებშია. შიეთონ გლეხები
ჰკრებენ სასწავლებლების გასაპართავ ფულს,
და იმისთანა სასწავლებლების გამართვას თხო-
ულობენ, რომელშიც სხვათა შორის ხელ-
საქმესაც ასწავლიდენ. მათ ადგომას თითონ
გორებმა ისეთი შეკოლა გამართეს, რომელ-
შიც ცალკე ოთახებიცაა, სადაც სხვა სოფ-
ლიდან მოსულ ყმაწვილებს დამის გათევა
შეუძლიათ.—მეორე სოფლის გლეხებს გადა-
უწყვეტათ, სახლს და შემას შეესწირათ,
ოღონდ კი, ერთბაშე ჩვენში სასწავლებელი გა-
მართოსო.
* * *
მისკოდან „ბირჟის უწყებებს“ სწერენ,
რომ რუსეთიდან დიდძალი ხალხი მოდის,
შუბანის ახლო-მახლო დასახლებულათ და
საეპიტოთო, განსაკუთრებით მ. ტი ხალხი სმო-
ლენსკის, ორელის, ტულის და მინსკის გუ-
ბერნიებიდან მოდის. შატრები კი მოსკოვის,
ტალის და შლადმიორის გუბერნიებიდან მო-
დიან იქაური წყრიმალეულობით.
სამაჰრო ცნობა
პეტერბურგის ბირჟის ფასე-
ბი 17 ივლისს
ხეთმანეთიანი ოქრო ღირს შეიდ მანე-
თად, ერთი ჩეთვერი პურისა—თერთმეტ მანე-
თად და ხუთ შაურათ.
11 ივლისს მოსკოვს გაუიღლა.
ნუხური აბრეშუმი ფუთი ოცდა ოთხ მან-
სტობადის ენდრო ფუთი, ხუთ მანეთ-
ნახევრათ.
ბუხარის ბამბა ცხრა მანეთად.
ამერიკული ბამბა ცამეტ მანეთად და თოთ-
ხმეტ შაურათ.